დევნილების პროექტი

დევნილების უფლებების დაცვის მიმართულებით საია წლების განმავლობაში სხვადასხვა პროექტს ახორციელებდა. ამჟამად მიმდინარეობს პროექტი - Ḍ□□□□□□□□□□□□□□ დაკავშირებული პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის ინოვაციური გზები A□ პროექტი დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მიერ და ხორციელდება ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) მეშვეობით.

პროექტი რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება და მასში ჩართულია საიას სამი ოფისი - თბილისის, გორის და ქუთაისის.

მიმართულებები:

1. **ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

აღნიშნული მიმართულებით პროექტი მოიცავს შემდეგ აქტივობებს:
•ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევა
•სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება
•საადვოკატო მომსახურება
•მობილური ვიზიტები დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში და ახალ ჩასახლებებში

2012 წლის განმავლობაში იურიდიული დახმარების კუთხით დევნილთათვის გაწეული საქმიანობა რაოდენობრივად ასე გამოიყურება:

ინდივიდუალური იურიდიული კონსულტაციები _2689;
სამართლებრივი დოკუმენტები - 298;
ახალი საადვოკატო საქმეები _17;
მობილური ვიზიტები _ 114.

2. **საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის ამაღლება**

პროექტის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობიერების ამაღლება მათ უფლებებთან მიმართებაში, რაც გამოიხატება შემდეგ აქტივობებში:
•ბროშურების მომზადება და გავრცელება

•მრგვალი მაგიდების მოწყობა დევნილთათვის აქტუალურ საკითხებზე.

3. **სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას ანგარიშვალდებულებებისა და გამჭვირვალობის პრინციპების პრიორიტეტულობისა და დაცვის უზრუნველყოფა**

•იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების საკოორდინაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება, ერთობლივი საინფორმაციო და ადვოკატირების კანპანიების წარმართვა
•აქტიური და კონსტრუქციული მონაწილეობა სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის

შექმნილ ექსპერტთა ჯგუფებში

- დევნილთა გამოსახლების პროცესის მონიტორინგი

გამოცემები:

კვლევები:

კვლევა - სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა მიმართ (ხარვეზების ანალიზი) 2011 წელი;

ბროშურები:

- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ”
- „სახელმწიფო პენსიის შესახებ”
- „დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა”
- „საცხოვრებლის უფლება და დევნილთა დაუსაბუთებელი გამოსახლებისაგან დაცვის გარანტიები”
- „სამედიცინო დაზღვევის შესახებ”
- ,,დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“